შეასრულეთ ჰაჯობა და უმრა თანმიმდევრულად, რადგან ისინი შლიან სიღარიბეს და ცოდვებს ისე, როგორც დნობის ღუმელი წმენდს რკინას, ოქროსა და ვერცხლს მინარევებისგან. ხოლო სწორად შესრულებული ჰაჯობის საზღაური არაფერია, გარდა სამოთხისა

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «შეასრულეთ ჰაჯობა და უმრა თანმიმდევრულად, რადგან ისინი შლიან სიღარიბეს და ცოდვებს ისე, როგორც დნობის ღუმელი წმენდს რკინას, ოქროსა და ვერცხლს მინარევებისგან. ხოლო სწორად შესრულებული ჰაჯობის საზღაური არაფერია, გარდა სამოთხისა».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه الترمذي والنسائي وأحمد]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდა ჰაჯობის და უმრის ღვთისმსახურებების ერთმანეთზე მიყოლებით შესრულება, ისე რომ არ მოხდეს მათ შორის წყვეტა და მათი შესრულების შესაძლებლობის შემთხვევაში შეუსრულებლობა, რადგან მათი შესრულება არის სიღარიბის და ცოდვების გაქრობის მიზეზი, ასევე კარგ კვალს ტოვებს გულში. როგორც ცეცხლის დაბერვა საბერველით არის მიზეზი, რომ რკინა გამოთავისუფლდეს სიბინძურეებისგან, და ასევე სხვა ლითონებისგან, რომელიც მას არ ეკუთვნის.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65627